

136 / 2  
1992




— ქალბატონო ვარდუა,  
რა ააშენებს ამ დასახელებულ  
კუსტაველის კრუსევეტს?!

— სიძულვილი განდევნათ  
და სიყვარული ჩაატანათ  
ქვეყნებში..

ნ.ნ. ჯ. რუსთაველი

შემა შ. სიხარულიძისა



**გაგვიალექსანდრევი!..**

მსურს, ლექსპრომტი მოგიძღვნა შეხანიშნავ მაესტროს,  
 ხუთ ათეულს კი არა, მინდა, ას წელს დაესწრო!  
 კარიერა დაიწყო კონცერტმაისტერობით,  
 მერე შექმენ ანსამბლი, უკრავდი და მღეროდი!..  
 თავიდანვე გატყობდით, რომ შენს სიტყვას იტყოდი!  
 პიანისტად მოსული, გაგვიკომპოზიტორდი!  
 ბუთს უზად რომ გიცნობდით, გაგვიალექსანდრევი!  
 სიმღერები დაწერე ისეთი, რომ გავშტერდით!..  
 ესტრადა რომ დაიპყრე, — თეთრზე შავით წერია!  
 შენს დიდებულ სიმღერებს მულტფილმებშიც მღერიან!  
 მიუზიკლი — ეს შენი უანრია და სტიქია!  
 ბილეთებსაც ვერ ვიძენთ, იმოდენა რიგია!..  
 რომ ხარ პოპულარული, ვხარობთ, განა გვწყენია?  
 საკონცერტო დარბაზი ბევრჯერ გაგიტენია!  
 ერს და ხალხს რომ სჭირდება, გვიწერ ისეთ მოდაზე!  
 სანამ შენ ხარ, რა უჭირთ წიკლაურს და თოდაძეს!..  
 ახლა ისეთს თუ დაწერ (და რომ დაწერ, გვჯერა, კი!),  
 რომ დაწყენარდეს როგორმე ზუგდიდი და ხენაკი!..  
 დიდ მადლობას გეტყვით და ფოთში ბიუსტს დაგიდგამთ!  
 სხვა რა უნდა შეგპირდეთ, ამის მეტი რა გითხრათ?!  
 „ფიროსმანს“ რომ დაგვპირდი, ნეტავ, როდის დაგვიწერ?  
 დროზე შორჩი, თუ ძმა ხარ, იმ ორ ქუჩას გაფიცებ!

**ნოდარ ხუნწარია**

**ალექსანდრე ზასილოვის**

შენს მზეს ფიცულობენ, შენზე ირევან.  
 სცენაც შენი ღიმით განათებულია!..  
 არეული არის მთელი ივერია,  
 შენი „ივერია“ დალაგებულია!

მალე ივერიაც დალაგებულიყოს,  
 და შენ, ალექსანდრე, კაცო ცათა  
 სწორო,

შენი „ივერიათ“ გამგზავრებულიყო  
 მშვიდ ივერიაში, ყველგან,  
 საგასტროლოდ!



**ყველა „ივერიელს“**

(შოთა რუსთაველის ჰანგამი)

... რა ესმოდის მღერა თქვენი,  
 სმენად მხეცნიც მოვიდიან,  
 თქვენთა ხმათა სიტკბოსაგან  
 წყლით ქვანიცა გამოსხდიან,  
 ისმენდიან, გაჰკვირდიან,  
 სიხარულით ატირდიან:  
 „რა ბრწყინვალე ანსამბლია! —  
 ნატვრისთვალი, ნატვრის ხეა!  
 ყველა — ნაღდი მომღერალი,  
 ყველა — ნაღდი არტისტია!  
 რუსთაველის პრემიაზე  
 უნდა წარდგეს მათი სია!“

... მოვიდიან შესამკობლად  
 ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:  
 კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი,  
 ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,  
 ინდო-არაბ-საბერძნეთით,  
 მაშრიყელნი, მალრობელნი,  
 რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი  
 და მისრეთით მეგვიპტელნი!..  
 აღტაცებით გეტყოდიან:  
 „ო, ივერო, ვტკბებით თქვენით, —  
 სახელოვან თქვენს ხელმძღვანელ  
 ალექსანდრეს გეფიცებით!“

„ნიანგის“ დავალებით — ზაურ გოლგვამე

# როგორ აირ-დაირია ყველაფერი!!

ი უ მ რ ე ს კ ა

— ჩაქრე ლამფა, ქალო!.. გაწუდა მოთმინების ძაფი!.. საცაა, გათენდება!.. მომხვლედი აქამდე მოვიდოდა!..

— ცოტაც მოვიტმინოთ. შე კაცი!.. იქნებ დავგაუენონ საშველი!..

— დენი მაინც იუოს. შუალამემდე ტელევიზორს ჩავრთავდით და ასე უღვთოდ არ გაიწელებოდა დრო!..

— დროზე გამოჩნდნენ ის დალოცვილები, ჩამოგვიწყალდა თვალელები ლოდინით!.. რად გვეტრიან უდანოდ უელს?! ჩვენთანაც მოიძებნება რადიო-რადიოები!.. ოქროსულობა და ფული აგერ, მაგიდაზე, გვიდევს გამზადებული!..

— დამავიწყდა მეთქვა: ფული თუ დათვალე კარგად?! თურმე, ათი ათას მანეთს კაპიკი რომ დააკლდეს, დამამძიმებელ ვითარებაში სხეულს ავტომატის კონდახით დაგიზიანებენ!..

— დათვალე, განა არ დათვალე?!.

— ჩვენს მონარელებულ დასამარს ფულზე კი არ გეუბნები, მაგას რა დათვალა უნდა, ლამარასგან რომ ისესხე ხუთი ათას სამას ოცდახუთი მანეთი, ის თუ დათვალე კარგად?!

— დათვალე, აბა, რა ვქენი?! რომ გამოვართვი, მაშინაც დათვალე და შინ რომ მოვიტანე, მაშინაც! ფული ქე არის, მაგრამ მათ გამოჩენას არ დაადგა საშველი!..

— სიები აქვთ შედგენილი, თურმე, და ისე დადიან!

— ანბანის მიხედვით თუ აქვთ შედგენილი, მაშინ ნახე შენი!

— არა მგონია, ანბანის მიხედვით დადიოდნენ! ვერა ხედავ, აგერ, ჭერ ლემონჯავებთან მივიდნენ, მერე კოხიებთან?!

— ნეტა, ვინმე გამოჩნდებოდეს ღვთისნიერი და შეავედრებდეს ჩვენს თავს იმ ოჯახაშენებულებს!..

— ვინ არის ისეთი, ვის სცხელა შენთვის?!

— ეე, როგორ აირ-დაირია ყველაფერი! სად იყო ადრე სიები, ან ვის სჭირდებოდა თვალეების ამოღებამდე ამდენი ლოდინი?! თუ რამე ეგულდებოდათ, მოვიდოდნენ, გაგზავრავდნენ, დაგაბამდნენ ლოგინზე, დაგაუთოვებდნენ, გაჩხრეკ-გამოჩხრეკდნენ სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს, დასატოვებელს დატოვებდნენ, წასაღებს წაიღებდნენ კიდეც და... ქე გაუდგებოდნენ თავიანთ გზას!.. ახლა კი ფეხმოუცვლელად უნდა იქდე შინ. მიღებული უნ-

და გქონდეს თვალეები კარგად, რომ დის გაღირსებენ თავს!.. რა გაბაწვრა, რისი ლოგინზე დაბმა და გაუთოვება?! ხელსაც არ გაანძრევენ, გადაიღებენ ფეხზე ფეხს და წინ უნდა გადმოულაგო ყველაფერი!.. ღვინო თუ არ მოეწონათ, სახეში შეგასხამენ!..

— კაი, ერთი, თუ კაცი ხარ! რა აქ სახსენებელია შენი წყალწყალა ღვინო?!

— რატომ ამბობ მაგას?! წელს შაქრიანობას არა უშავდა, თან არაფერი გვიმამაძაღლია!.. თუ არ მოეწონებათ, ნუ მოიკლავენ თავს, ბატონო, სანთლის არაყი მიირთვან!..

— რომ ვიცოდეთ, ვის სიაში ვართ, კი არ დავიღეოდით ლოდინით, ნივრის ნაქურჩაღს არ დავიტოვებდი შინ, იქით მივუტანდი ყველაფერს!..

— იქნებ არც ვართ, საერთოდ, არავის სიაში?!

— სიის გარეშე ვინ დაგვტოვებდა?! ისე წყალწაღებულები ვის ვეგონებით?! მართალია, თითებიდან ოქრო არასოდეს გვცვიოდა, მაგრამ არც თითვიტ ტიტვლები ვართ!..

— ებ, როდის მოვლენ, როდის დავაადგება საშველი?!

ნოგადი ბართაია



ნ. ბ. ლოლუასი

— დაიჭირე, კაცი, რას უყურებ?!  
— რატომ უნდა დავიჭირო? ისტორია გარკვევს ყველაფერს!..

საქართველოს  
ბარონული  
გაზეთისთვის

თემა ნ. ბართიანი

# დამო ცურამვილი • მანსამუში

**პართველს** ყოველთვის ჰქონდა იუმორის გრძობა! უჭირდა თუ უღბინდა, ყოველთვის შეეძლო ეხუმრა! ისიც კარგად იცოდა, რომ ამ საოცარი ნიჭის დაკარგვით ერთ სასიცოცხლოდ აუცილებელ თვისებას დაკარგავდა!.. ამადაც შემოგვინახა ზებირსიტყვიერებამ ქართველი მეფის ტყვილით ნათქვამი: სვანეთში უნდა გაიხიზნოთ და ნარდის წამოღება არ დაგაიწყდეთო!

დღეს ჩვენ ყველანი პოლიტიკაში ჩავებით და ეროვნული მოძრაობის წევრები გავხდით. იმ მოძრაობას მაშინაც და ახლაც იუმორი, ლაღობა თუ კურიოზი არ აკლდა და არ აკლია!.. მიუხედავად გაჭირვებისა და დღევანდელი მძიმე მდგომარეობისა, ჟურნალ „ნიანგისათვის“ რაღაცებს გავიხსენებ, ყველაფერს ვერა, რა თქმა უნდა!..

დრო თვითონ მოიტანს სათქმელის დროს!

1988 წლის ნოემბრის შიმშილობის ბოლო დღეებში უაღრესად დაიძაბა სიტუაცია!.. ქალაქი პარალიზებული იყო და, რაღაც ჯერ არნახულის მოლოდინში, აღზნებულები დავრბოდით წინ და უკან!.. ახლოვდებოდა 29 ნოემბერი და ჭორი ჯარისა და ტანკების შემოსვლის შესახებ უფრო და უფრო ზვირთდებოდა!.. ღამ-ღამობით სპონტანურად ხდებოდა შეკრებები უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, იყო უკიდურესობამდე დაძაბული თავყრილობა კინოს სახლში!.. ყველას აწუხებდა ერთი კითხვა: როგორ მოვქცეულიყავით და რა გველონა? ნერვების მოთოკვას ძნელად თუ ვინმე ახერხებდა და იყო გაუთავებელი კამათი, ყვირილი და გაწევი-გამოწევა!.. 28-ში მოძრაობის ლიდერები და ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ მწერალთა კავშირის სასახლეში ბატონ მუხრან მაჭავარაძის კაბინეტში, თენდებოდა 29 ნოემბრის დილა და დაძაბულობა კულმინაციას აღწევდა!.. მახსოვს მღუშმარე სახეები და გაურკვევლობის შიშით საგვც კითხვა: როგორ მოვიქცეთ ხვალ?

ერთ-ერთმა ლიდერმა ომახიანად შემართა ხელი, — კონკრეტული წინადადება მაქვსო! — და წამოდგა, — ბრძანეთო! — უთხრა ბატონმა მუხრანმა და ყველანი გავისუსეთ, უმრავლესობას შეება შევამჩნიე.

ლიდერი წამოდგა და საქალაქედან თაბახის ფურცელი ამოაძვრინა, — კონკრეტული წინადადება მაქვსო! — კიდევ ერთხელ გაიმეორა და ის თაბახის ფურცელი სულმოუთქმელად ჩაიკითხა, ტექსტის შინაარსს რა დამეიწყებს: დასავლეთ საქართველოდან ფეხით ქართველ პატრიოტთა ჯგუფი გამოვიდა, ორმოცდაათ-

მეტრიანი თოკი მოაქვთ, ხვალისთვის თბილისში იქნებიან და იმ თოკით (საზეიმო ვითარებაში) ორჯონიკიძის ძეგლი უნდა მოქაჩონო! სირთულე ის არის, რომ მსურველი ძალიან ბევრია და ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ რჩებაო, იქნებ მთავრობას ვთხოვოთ და დამატებით რამე საშუალება გამოგვიყოსო!..

ეს ხდება 1988 წლის 28 ნოემბერს.

მე ქვედა ტუჩზე გამეტებით ვიკბინე, რომ არ გამცანებოდა, და ოთახიდან გავედი, სული რომ მოვითქვი, უკან შემობრუნებისას ბატონი ალექსანდრე ჯავახიშვილი შემხვდა, მხრებს იჩეჩავდა, — მე თქვენ სერიოზული ხალხი მეგონეთო!..

**უნივერსიტეტის** ერთ-ერთი პირველი მიტინგიდან ორი თუ სამი დღის შემდეგ, სადაც ამით ინტერესდებოდნენ, მიკბ-მოკიბვის გარეშე მკითხეს, — ლეო ლეჩხუმელთან რა კავშირი გაქვთო?


— სად სწავლობს-მეთქი? — ჩემის მხრივ კითხვ და დანარჩენებს გადავხედე, იმანაც გადახედა იმ დანარჩენებს და გამომცდელად დამაკვირდა.

— სად ცხოვრობს? — გულით მოვინდომე გახსენება.

ჯერ გაელიმით გაურკვეველი მნიშვნელობით და მერე უცებ სერიოზული სახეები მიიღეს, — მაინც ყველაფერი ვიცით და სჯობს თქვენ თვითონ აღიაროთ და გამოტყდეთო! ვერ გამოვტყდი, რა თქმა უნდა! ნამდვილად არ ვიცნობდი ლეო ლეჩხუმელს და მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა მის შესახებ.

წინა ღამით იყო ტელეგადაცემა ჩვენი მიტინგის შესახებ, როგორც გაირკვა, ლეო ლეჩხუმელი უძღვებოდა „ამერიკის ხმას“ და იმ ხალხს, ვისზეც მოგახსენებთ, ვერ წარმოედგინა თურმე, რომ ჩვენს გარეშე მიდიოდა ინფორმაცია აქედან ვაშინგტონში.

ახლაც ასე ჰგონიათ, ალბათ!



**9 აპრილის** ღამეს ზოგიერთი რამ კარგად დამა-  
მასხვრდა. ზოგი რამ საერთოდ არ მაგონდება, მახსოვს  
ასეთი დეტალი: 13-14 წლის ბიჭი რუსთაველზე, ოპერის  
წინ, ჩვენსკენ ნასროლ ვაზნებს იღებდა და, სანამ ბოლს  
აუშვებდა, იჭვე, წვიმის გუბებში აცივებდა. ზოგს  
უკანვე სროლით აბრუნებდა. შეიძლება, რასაც ვყვებო-  
მომელანდა (ალაგ-ალაგ გრძნობას ვკარგავდი!). სამაგიე-  
როდ ერთი დეტალი კარგად მახსოვს: ტანკები რომ წა-  
მოვიდნენ, შუახნის მელოტი კაცი ენერგიულად მოძრა-  
ობდა და ყველას გვიფრთხილდებოდა: პროვოკაციაა და  
ნუ აყვებებითო! — იმეორებდა ხმამაღლა, სანამ ვიღაც  
ქალბატონმა არ დაამშვიდა. — რალა პროვოკაციაა, ტან-  
კები მოდიანო!..

9 აპრილს, დღისით, ალბათ, გახსოვთ, ორი შეტევა  
იყო, მაგრამ არა მოედნის, არამედ ზემელის მხრიდან.  
„ივერიასთან“ რამდენიმე ათეული კაცი პროსპექტზე  
დაწვა და სამხედრო კოლონას გზა გადაუკეტა (თუ არ  
ვცდები, კოკა გაწერელის ინიციატივით). ამ გზის გა-  
დამკეტთა შორის იყო ერთი ქართველი პოეტი, საკმა-  
ოდ ასაკოვანი უკვე და საკმაოდ შეზარხოშებული ღვი-  
ნით!.. სხვებთან ერთად ისიც დაწვა ასფალტზე სამშობ-  
ლოს გადასარჩენად და მაშინვე... ჩაეძინა!.. კოლონა  
უკან გაბრუნდა, ხალხიც დაიშალა და მარტო, მწოლია-  
რედ დარჩენილი პოეტი, უკვე საღამო ხანს, ვიღაც ბავ-  
შვმა ხელის კვრით გააღვიძა: ადგე, ბიძია, ვაცივდებიო!..

— : — : —

**კომუნისტების დროინდელი ამბავია:** ბიუ-  
როს სხდომაზე უნდა ემსჯელათ დავითგარეჯის პრობლე-  
მებზე. ჩვენ, როგორც მცოდნეები ამ პრობლემებისა,  
წაგვიყვანეს სხდომაზე ნათლისმცემლის მონასტრიდან,  
სადაც ვმუშაობდით და გვეცვა დახეული ჯინსები და  
უკვე გაურკვეველი ფერის პერანგები. მზისგან გარუჯუ-  
ლებსა და პირდაუბანელებს, სახლში მისვლის საშუალე-  
ბა არც მოგვცეს და აღმოვჩნდით ცეკას შენობაში, სუფ-  
თად ჩაცმულ და საგულდაგულოდ წვერგაპარსულ ხალხ-  
ში. კონტრასტი იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენს სიახ-  
ლოვეს არავინ დამჯდარა. სხდომა საკმაოდ მოსაწყენი  
აღმოჩნდა. ზოგიერთები თვლემდნენ, მათ შორის ბატო-  
ნი ალექსი ინაურცი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას  
ცალთვალდახუჭულს ეძინა (შემიძლია, ხატზე დავიფი-  
ცო!) და, რაც უფრო საინტერესოა, მძინარეს ყველაფე-  
რი ესმოდა. რეპლიკებსაც ისროდა ალაგ-ალაგ (გაღვი-  
ძების გარეშე) და გამომსვლელებიც შიშით სავესე თვა-  
ლებს გამუდმებით მისკენ აპარებდნენ!..

დავითგარეჯზე საუბარი რომ დამთავრდა, ჯუმბერ  
პატიაშვილს დეპეშა მიაწოდეს და მან ხმამაღლა წა-  
კითხა იგი: მშობელი სთხოვდა ცეკას, — ჩემი შვილი  
გამსახურდით ჩაითრია და მიშველეთო! გამსახურდით  
ხსენებაზე ინაურს ის ღიად დარჩენილი თვალი გაუფარ-  
თოვდა და შუბლისკენ აუტოცდა. — რა ვქნათო?! —  
ხელები გაშალა პატიაშვილმა. — მშობელი გვევდრე-  
ბათო! — როგორ თუ რა ვქნათო?! — და რამდენიმე კაცი  
ერთმანეთს აღარ აცლიდა კონსტრუქციული წინადად-  
ებების (როგორც თვითონ ეძახდნენ) წამოყენებას.



ბავში ილუბებათ, ესაო, ისაო და სხდომა გაიწელა, ჩვენ  
უკვე გვაგვიანდებოდა და ხელის აწევით სიტყვა ვითხო-  
ვეთ. — ბრძანეთო! — და ჩვენგან თედო ისაკაძე წამო-  
დგა. — ბავში რამდენი წლისააო? — იკითხა, ყველამ  
ჩვენსკენ მოიხედა და, სხვათა შორის, გვიპასუხეს. —  
ოცდარვა წლისაა და მასწავლებლად მუშაობსო! თედოს  
თეთრმა ფერმა გადაჰკრა სახეზე. — მერე, თქვე კეთილ  
(აქ პაუზა გააკეთა) შობილებო, ოცდარვა წლის კაცმა  
როგორ უნდა იცხოვროს, რა თქვენი საქმეა, სხვა რამეზე  
იფიქრეთო!

სამარისებურ სიჩუმეში სხდომას ერთი თვალი მექა-  
ნიკურად შეემატა და სიჩუმე პატიაშვილის სიცილმა  
დაარღვია. სიცილით გადალო დეპეშა და, — ვინ მოიტა-  
ნა ეს სისულელეო? — იკითხა, ვინ იყო სულელი, —  
მეო! — ეთქვა, იმ საღამოსვე დაგვაბრუნეს ნათლის-  
მცემელში!..

— : — : —

**მახსოვს** ასეთი სცენა: 1987 წლის 26 (ან 27)  
დეკემბერს ჩატარდა მიტინგი დიდუბის მწერალთა და  
საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მაშინ ბევრი ვერ ბე-  
დავდა მიტინგზე მისვლას და სულ ოცდაათ კაცამდე ვი-  
ყავით, მილიცია და სუკის თანამშრომლები რომ არა,  
მიტინგი ჩაიშლებოდა, ალბათ, გაავსეს ეზო, კახა ბუაჩი-  
ძე ჩემს გვერდით იდგა, — შენ არ დაგიჭირონო (რას  
მიშველიდა?!), ირაკლი შენგელიას ტექსტის წაკითხვა  
არ აცალეს და დაიწყო დარბევას!.. ფურცელი აიტაცა  
უჩა ძიძავამ (ერთ-ერთმა უცნაურმა მოვლენამ ერაკ-  
ნულ მოძრაობაში) და კითხვა განაგრძო, მაგრამ შეჯა-  
ხებასა და არეულობაში წააქციეს და ფეხებში წაავლეს  
ხელი, ორი კაცი მიათრევდა გასასვლელისკენ და უჩამ  
არც შეიმჩნია — მშვიდად გააგრძელა თავისი საქმე,  
ჩვენ გარეთ გამოგვიყვანეს და მანქანიდან ვუყუარებდით  
ამ სასაცილო სცენას: წერეთლის პროსპექტზე გაწოლი-  
ლი ძიძავა აულელვებლად კითხულობდა ტექსტს და  
მსმენელებიც მშვიდი ნაბიჯებით მიჰყვებოდნენ აქედან  
და იქიდან!..

თუმცა სასაცილოდ საქმე მაშინ ნამდვილად არ  
გვეჩონდა!

**გვეხვდა** ერთი ლექტორი (გვყავდა რა, ახლაც  
უნივერსიტეტშია), სადაც შემხვდებოდა, ცრემლი მო-  
ადგებოდა ხოლმე, — ბიჭო, შენ არ იცი, რა არის მარქ-  
სიზმ-ლენინიზმი, კომუნისტური იდეალებისაც არაფერ  
გაგეგება და გამსახურდია ტვინს გირეგსო! თავიდან შე-

ვიცხადე და. — როგორ გეკადრებათ-მეთქი?! — ვუპასუხე. მაგრამ მერე მეცინებოდა. ცეკას რომელიმე მდივანი თუ მოვიდოდა უნივერსიტეტში, პირველი ხედებოდა ხოლმე კარებში. ღიმილი ჰქონდა. — ჯოკონდას შემურდებოდა!..

გამსახურდიას დროს ის ჩვენი ლექტორი პრეზიდენტის უკან იჯდა და ახლა იმავე ღიმილით (ოღონდ ზურგიდან, რა თქმა უნდა) ბატონ ზვიადს უღიმოდა!.. იმ პერიოდში (ტყუილი როგორ ვიკადრო?! ) არ შემხვედრია სალაპარაკოდ, თორემ მეტყოდა, ალბათ, — არ გესმის შენ ჩვენი მთავრობის იდეების არაფერი, სიგუა და კიტოვანი გირევენ ტვინსო! არ შემხვედრია, თორემ ნამდვილად მეტყოდა (სესიებზე რა ფუნქცია ევალებოდა, ეგვიც არ ვიცი!).

ამას წინათ ჩვენი თეატრის საკითხზე მივედი ახალ მთავრობაში (თვითონ რომ დროებითს ეძახიან) და რას ვხედავ! — ეს ჩვენი ლექტორი სიგუას კაბინეტთან დგას. შესასვლელთანაა ატუზული და არც იქით მიდის, არც აქეთ. დგას ასე თავდახრილი და ელოდება. არაფერი მითქვამს. მერე მივხვდი, რას ელოდებოდა, — გამოივლის სიგუა და შეამჩნევს! მაგიტომაც დგას, რომ შეამჩნიონ, — რამე რომ იყოს, აქა ვარო?!.

იცვლება ყველაფერი. იმ ჩვენს ლექტორს საკმაოდ ხშირი უღვაში აქვს და, ალბათ, ყურადღებას არ აქცევს. თორემ უღვაშის ერთი ღერიც კი ნამუსის საბუთი იყო ერთ დროს!..

**ომიც** არის და ომიც! მაყურებლიანი ომი, ალბათ, არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. უცნაურები კი ვართ, მაგრამ ბრძოლაც თუ ყველასაგან განსხვავებული და გამორჩეული ვიცოდით, არ მეგონა! მთელი იმ დღეების განმავლობაში (დეკემბერ-იანვარი) რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული კაცი იდგა რუსთაველზე და ფეხბურთის მატჩით თვალს ადევნებდა მოვლენების მსვლელობას!.. ეფარებოდნენ ხეებსა და სახლებს და გამაყრუებელი, საშინელი სროლის დროს სინანულით აქნევდნენ თავებს!.. იყო ყვირილი და გაფრთხილება, მოწოდება, — დაიშალეთ და შინ წადითო! მაგრამ ნებისმიერი თვლიდა, რომ მხოლოდ მას არ ეხებოდა ეს!

კიდევ უფრო აუტანელი იყო ღამის რუსთაველი (საშინელი სიბნელე და წყვილი) ვინ დადიოდა და რას აკეთებდა, ვერ გაიგებდი!..

ერთი დეტალი: რიცხვი არ მახსოვს. შუალაშისას, ატყდა სროლა და უიარაღოები გამოგვყარეს. ცეცხლის ზოლიდან. დავწექით და გავხობდით „ბეტეერის“ ქვეშ. მარჯვენა მხარეს (რალაც კაფეა იქ) იქიდან მოხობავდა აგრეთვე უიარაღო მაყურებელი (უფრო სწორად, მსმენელი, რადგან თითქმის არაფერი ჩანდა), რალაც მითხრა და ვერ გავიგე, ხმაური გვიშლიდა ხელს და ახლოს მოხობდა. მთელი ძალით ჩამყვირა და თმები ყალყზე დამიდგა: — დალევა ხომ არ გინდაო?!

ბოთლი და ჭიქა რომ ააწკარუნა, გამოვძვერი და გიჟივით, უკანმოუხედავად გავიქეცი!..

ეტყობა, ნერვებმა მიმტყუნეს!..

დალევაზე გამახსენდა:

22 დეკემბერს, ომი რომ დაიწყო, ფასანაურში ვიყავით და გოდერძი ჩოხელის დედამ გვითხრა: — ქალაქში რალაც ხდებო! ჩავსხედით მანქანაში და წამოვედით. რუსთაველზე გავედით ამბის გასაგებად და ვერ მივუახლოვდით. გვითხრეს, — სასტუმრო „თბილისში“ არიანო! ქუჩის გადაჭრა შეუძლებელი იყო, აგრეთვე, მთავრობის სახლამდე აღწევაც! გადავწყვიტეთ, კიტოვანთან და სიგუასთან დალაპარაკება, მაგრამ როგორ? გამახსენდა სასტუმროს ქვემოდან, ძნელადის ქუჩიდან, რესტორანში შესასვლელი გზა, რომელიც დაუცველი და სულ იოლად გასავლელი აღმოჩნდა.

რესტორანი „თბილისი“ საღამოობით იყო ჩვენი მამების თაობის უსაყვარლესი თავშესაკრები ადგილი. ის შესასვლელიც მათგან ვიცი. იცის ეს ყველა მომხსენება თბილისელმა. ეტყობა, ახალგაზრდობაში იქ არ დადიოდნენ ყოფილი ხელისუფალნი, თორემ ოპოზიციასთან საბრძოლველად უთუოდ გამოიყენებდნენ ამ გზას!

ვისაც ეს ვუთხარი, ყველას ხუმრობა ჰგონია და მართალიც არის. მაგრამ ყველა ხუმრობაში რომ სიმართლის მარცვალი ურევია, ნურც ის დაგვაიწყდება!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



— რომ არ გემორჩილება, ოპოზიციისაში ხომ არ გიდგას?!

— ოპოზიციისაში მიდგას. ბატონო, აბა, რა?! დღეს ძეხვი ვერ ვაჭამე და სულმთლად ვაღამერია!..

ნახ. მ. აბაშიძისა



## შურისძიება სიკვდილის შემდეგ!..

რა არ ხდება ამჟვეყნად, მაგრამ ასეთი შემზარავი, თავზარდამცემი რამ თუ მოხდებოდა, არ მეგონა!..

... გაზაფხულის ერთ ამალელებელ, მშვენიერ დღეს, როცა ვარდ-ყვავილთა სურნელებით გაბრუებული ადამიანი სარვამართო რვიანებს ხაზავს, როცა ყველაფერი ავიწყდება, საკუთარი სურვილების გარდა. ბოროტი ზრახვები უღვეს გულში და უნდა ისინი სისრულეში მოიყვანოს, — ჯერ სასმელს მიეძალება, შემდეგ „ვაუკაცურად“ მოიმარჯვებს იარაღს, „ვაუკაცობის“ დასამტკიცებლად გაეშურება თავის სატრფოსთან და მხეცურად მოკლავს მას!..

გადის დრო!.. უდანაშაულოდ მოკლული სული ტრიალებს ამჟვეყნად და სამართალს ელის! აჰა, სამართალმა პური ჭამა: ბოროტი ძალა ლეშად ქცეული გდია და შურისძიებაც აღსრულებულია!..

თენგიზ თოგაძე

## ერთი ფრიაღ სასიამოვნო განცხადება

**ნაპოვნია** წესიერი ქურდების მიერ გატაცებული გაუძარცვავე ავტომანქანა „მოსკვიჩი-412“, სახელმწიფო ნომრით — ბ. 89-96, გრ.

მანქანაში აღმოჩნდა „დიბლომატის“ ტიპის ჩემოდანი, სადაც აწყვია 3 ბოთლი კონიაკი „ენისელი“. მანქანის საბუთები, საზღვარგარეთის პასპორტი, 50,000 მანეთი და 5,000 დოლარი!

ავტომანქანის პატრონს ვთხოვთ, გამოცხადდეს სახელმწიფო ავტონისბექციის გაუძარცვავე ნაპოვნი მანქანების განყოფილებაში და იკითხოს **ალექსანდრე**

გორგიშვილი!

ოთხას მანეთს — ხელფასს  
ვიღებ.

ოთხას მანეთს — პენსიას.

ცოტა მეტი უფილიყო.

რა თქმა უნდა, მერჩია!

ოთხას მანეთს ცოლი იღებს  
გარჯასა და შრომაში! —

ესეც ასე! — გამოვიდა  
თანხა ათას ორასი!

სახლში ოთხი სული ვცხოვრობთ —  
მე, ცოლი და ბავშვები!

ახლა დავსხდეთ და განვსაზღვროთ,  
ჩვენ ამ ფულით რას ვშვრებით:

დღეში ორი პური გვინდა! —

ეს ცხრა არის მანეთი.

ოცდაათზე გავამრავლოთ, —

ორას სამოცდაათი!

ცოლს და ჩემს თავს არ

ვგულისხმობ, —

ბავშვებს უნდათ კარაქი, —

ხუთას გრამზე დამჭირდება

ას ორმოცი და ათი!

ზეთი გვინდა საში ბოთლი, —

მინიმუმი არს ესო, —

ას მანეთად თუ ვიშოვე,

ჩემი საქმე აეწყოს!

ოთხი კილო ძეხვი მაინც

დამჭირდება ერთ თვეში!


მგონი, უნდა ჩავეტო

ასე, საშას მანეთში!

ოჯახს კვერცხიც კი სჭირდება.

ალბათ — ცალი ორმოცი!

ნახ. 3. კუცინასი



33

# ქართული თავსასურსი



თუ ვიშოვე ას ორმოცად,  
ნახეთ ჩვენი ხორხოცი!  
თვეში ორჯერ, ჩემო კარგო,  
ხორციც კია საჭირო! —  
ორას მანეთს ხორცისთვის ვღებ.

დამატებას არ ვცდილობ!  
ჰო, შაქარი დამავიწყდა, —  
ორი კილო მერგება, —  
მაღაზიამ თუ არ მომცა,  
ახიანი მჭირდება!

ვაშლიც გვინდა,  
კარტოფილიც,  
კომბოსტოც და  
სტაფილოც! —  
ორას მანეთს ვამყოფიებ  
ყველა ამას, საკბილოს!  
ახლა ჯამი „ჩამოვყაროთ“  
და ბალანსის ბოლოში  
მივიღებთ, რომ თვეში გვინდა  
ათას ოთხას სამოცი!  
შემშლილსგან არ მოვკვდებით,  
თუ ამ რეჟიმს დავიცავთ, —  
საკმეფლს შევვჭამთ, მაგრამ ტანზე  
რალა უნდა ჩავიცვათ?!  
ილო მუნჯიშვილი



**ზოგი** კირი მარგებელიაო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა!

**გაძვირდა** ღვინო და აღარ ვსვამ (ღვინოს მიჰქონდა ჩემი ხელფასი, ღვინომ დამაჯარგვინა თანამდებობა, ღვინომ დამაბერა ახალგაზრდა კაცი!..).

**გაძვირდა** არაყი და აღარ ვყიდულობ (არაყმა გამიწითლა ცხვირი, არაყმა გამილურჯა სახე, არაყმა ამიკანკალა ხელები, არაყმა მოწამლა ჩემი ახალგაზრდობა, არაყის გამო ბევრჯერ გამისივს ისედაც გასივებული ცხვირ-პირი!..).

**გაძვირდა** შამპანური და გადამავიწყდა ბოთლების ბათქაბუთქის ხმა (შამპანურმა დამიშალა გულ-ღვიძლი და ჯიგარი! — ძმაკაცები მიტომ მეძახიან „ჯიგრის ნატეხს“!).

**გაძვირდა** ლუდი და იმასაც შევეშვი (ლუდმა მომისპო და გამინადგურა თირკმელები!).

**გაძვირდა** სიგარეტი და აღარ ვწევვი (ვეწევ მხოლოდ შემოკმედებითი წვის დროს!).

**გაძვირდა** პური და პურისმკამელი ძმაბიკებიც დავკარგე!..

**გაძვირდა** მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, ამას დაემატა შიდსის საშიშროებაც და ეს პრობლემა მოვიხსენი (ერთი სიტყვით, მართო დასაფლავებულნი კლია!).

**გაძვირდა** სასმელ-საკმელი და ამიტომ ყოველდღე ვიჩუტავ ორფუთიან მუცელს და თანდათან ადამიანის ფორმაში შევდივარ (შინაც ეკონომიას ვაკეთებ — ნათესავებთან და მოყვრებთან დავდივარ სტუმრად ცოლ-შვილიანად!).

**გაძვირდა** ბენზინი, ავტობუსისა და ტროლეიბუსის ბილეთები, ტაქსით მგზავრობა, ამიტომ ფეხით დავდივარ (ეს ჯანმრთელობისთვისაც მისწრებაა — ჩიტვით ვვრძნობ თავს!).

**გაძვირდა** ფეხსაცმელი და ტანსაცმელი და ომიანობის პერიოდს დავუბრუნდი — მივაკერ-მოვაკერე ძველმანებს და დაკემსილ-დაკერებული შარვლით, პიჯაკით, პერანგით, წალბითა და კალოშებით დავდივარ!..

**გაძვირდა** აგარაკების საგზურები და ზაფხულობით ისევ თბილისში ვვედები, ჩემი ისედაც გაუბედურებული და დანგრეული ბინა რომ არ გამიტეხონ და, რაღაც მილიონამდე მანეთი რომ მაქვს ლეიბის ქვეშ საიდუმლოდ შენახული, არ მომპარონ!..

**გაძვირდა** სიყვარულიც! — დღეს იგი მართო ვალუტაზე ან იმპორტულ საქონელზე იყიდება, ამიტომ სიყვარულსაც შევეშვი და სასიყვარულო ლექსების წერა დავიწყე, იმათაც ძვირად გავყიდი რედაქციებში!

**სამაგიეროდ** გაიფადა პოლიტიკა და ყველგან პოლიტიკაზეა ლაპარაკი (განსაკუთრებით აქტიურობენ გატლექილ-გაპოლიტიკებული ქალები!).

**ასევე** ძალიან გაიფადა ადამიანის სული, მისი ღირსება, ზნეობა და მორალი!.. კაპიკი ვახდა ადამიანის ფასი!..


**აი**, რამდენი სიკეთის მოტანა შესძლებია, თურმე, ფასების მომატებას!

**მაშ**, გაუმარჯოს სიძვირეს!

ვანო ცინცაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

ჩავახუშოთ ერთმანეთს, თორემ, აჭერ, სუქა-წთვალთ გვესწოება ხელოიდან!..



**უბისაქვეში** მამხილებელი იუმორისტული შინაარსის მცირე ეპოქა. იგი გვხვდება პროზად და პოეტური ფორმითაც. ეპოქის ხალხური სიტყვიერებიდან მოდის. ლექსად თქმული უბისაქვეში ეპიგრაფების კართულ ორეულად უნდა ჩაითვალოს. უბისაქვეში თანესებურება ერთგვარ ექსპრომტულობასა და დოკუმენტურობაში მდგომარეობს. მისი პერსონაჟები ნამდვილი. რეალურად არსებული ადამიანებია.

გთავაზობთ რამდენიმე უბისაქვეს.

**უველაფერი... დროებითი...**

ამ წუთის ოფელში.  
მუდმივად კი არა.  
მოვსულვარ  
დროებით!

არ ვარ კმაყოფილი.  
ახალი ცხოვრებით.  
ახალი  
დროებით!

ძველი დავანგრეთ,  
მთავრობა ახალი  
დავნიშნეთ  
დროებით!

ვიყავი პრეფექტი,  
დამხვეს გამგებელად,  
რა თქმა უნდა,  
დროებით!

ცოლი გადამიღვა,  
დადის მითინგებზე,  
არის ინტრიგებზე!  
ქმრის მოვალეობას  
ვასრულებ  
დროებით!

უფალო, მოგვხედე,  
მუდმივად მოგვხედე  
და არა  
დროებით!

**კომერციის პოლიტიკა**

ალარაფერს აღარ შეგავს  
ამ ცხოვრების მიხვრა-მოხვრა.  
კომერციის პოლიტიკამ  
უველაფერი მიხრა-მოხრა!  
კილოგრამ უველს ისე ვვიღით.  
როგორც ვვიღდით ადრე ძროხას!

**„პ რ ი ვ ე ტ ი“**

ეს ობერ-ტალი ცხოვრება შკაცრია.  
იმდენი აზრია. რამდენიც კაცია.  
ბევრნი, რა ხდება. გაგებაში არც კია.  
არავინ კითხულობს — გახურავს.  
გაცვია!..



პირებზე გვაქერია  
სტაბილიზაცია.  
მაგრამ გაგვიშინაურდა  
დეტაბილიზაცია!  
და მაინც წამოვიწყეთ უდიდესი  
აქცია —  
ეგრეთ წოდებული  
პრივატიზაცია!  
გვიშველის, არ გვიშველის ახალი  
„ზაცია“,  
მაინც ერთხმად შევძახით:  
„პ რ ი ვ ე ტ, პ რ ი ვ ა ტ ი ზ ა ც ი ა!“

**ღმერთო...**

ისე დავკარგეთ რიდი და კრძალვა;  
შიშიც აღარ გვაქვს შალალ  
ღმერთისა!

მამულ-დედულის გადასარჩენად  
ერთმანეთს ვიცავთ...  
ერთმანეთისგან!

**რაც თავი მახსოვს!**

ცხოვრებას, ღუბჯირს,  
უოველთვის უჭირს,  
რაც თავი მახსოვს, ოხრავს და  
გოდებს!  
კეთილდღეობა — ფიქრია  
ფუჭი.  
დაგვიღბინდება, ნეტავი, ოდეს?!

**ეს ცხოვრება**

ეს ცხოვრება არის ცხენი,  
დაქრის, როგორც ფათერაკი.  
მე დამაგდება, შენ შეგისვამს.  
სულ ჰკიდა ზურგზე ბარგი!  
ანეთია ეს ცხოვრება.  
ემსგავსება ეშმაკ-მაცილს!  
სული კბილით რომ გიჭირავს.  
სწორედ იმ კბილს ამოგაცლის!

**მონობა**

ცხოვრების კანონს უფალი გვიწერს.  
კაცის ქუაზე არ ფქვავს და არ  
ცრის!  
ღმერთის მონობა — გუნებაა სულის.  
სულის სიმდაბლე — მონობა კაცის!

**„ვილაპარაკოთ მსოფლოდ  
მართულად!“**

შენ რომ ლაპარაკობ,  
ის თუ ქართულია,  
შენ რომ აზრი მოგდის,  
ის თუ ქართულია,  
შენ რომ სიფათი გაქვს,  
ის თუ ქართულია,  
შენ რომ „ქული“ გხურავს,  
ის თუ ქართულია,  
საქართველოს გადარჩენა,  
ვაშმე, რა რთულია!

**ხალხურ კილოზე**

იმ მთავრობამ თმა მომჭინჩა.  
ამ მთავრობამ — წვერებილი..  
ოი, სად ხარ, კომპარტიავ,  
ახლა მოგეფერებილი..

**პრობლემები**

პრობლემები, ჩვენ რომ რთული  
გვგონია,  
ზოგან წყდება უბრალოდ და  
მარტივად —  
„ძალმა უფოს, ქარავანმა  
იაროსი“ —  
ასეთია ბევრის ალტერნატივა!

**უველა კუთხე-კუთხეობაში**

დავგმეთ კულტი, დიქტატურა  
დავგმეთ გუნებით  
და ვაშენებთ სახელმწიფოს  
სამართლებრივს, —  
ქალაქებში, ქვეყნის მთავარ  
რეგიონში,  
ჩამოვიკიდეთ კომენდანტის საათები!

**ცოდვა..**

ქართველებს ერთი ცოდვა გვაქვს,  
უველამ ვიცოდეთ, გვჯეროდეს, —  
ეს ცოდვა **ქართველობაა**,  
მოვინანიებთ ვეროდეს!

**აბა, სხვამ რა?!**

გარდაქმნები წამოიწყო  
პრეზიდენტმა მიხეილმა,  
რაისამ კი გაიხარა,  
აბა, სხვამ რა იხეირა?!



**„მამაჩვენი“**

ლენინმა გაფლანგა რუსეთიდან  
გამოგზავნილი ფული, რომელიც  
ემიგრაციაში მყოფი სოციალ-დემო-  
კრატიის ხელმძღვანელობისათვის  
იყო განკუთვნილი, 400 ათასიდან  
პარტიის ხაზინას ჩააბარა მხოლოდ  
100 ათასი, ამის გამო ლენინს გადა-  
უწყვიტეს 300 ათასის ფონდში და-  
ბრუნება.

გაზეთი „კომუნისტი“,  
№ 168, 1990 წ.

რა გასაკვირია, ქურდი რომ ვართ  
უველა,  
ვსაქუელანტობთ და ვჩალიჩობთ  
ლაჩრულად,  
თურმე „მამაჩვენი“, თვით  
ლენინი დიდი,  
პარტიის ხაზინას ფულს წაჰნიდა  
ჩუმადა!..

სამასი ათასიო, ჩაიჭიბა ერთობი —  
ეს რა გაიგონეს ამ ყურებმა,  
ღმერთო?!  
ხედავთ? ჩაწყობები საქმეების  
„ღვეის“,  
სულ პირველად, თურმე, დაუწყია  
ლენინს!

**... ვანი, რა გომი წაიქცა..**

რა შეაკავებს ხალხს, განახლებს?!  
მომძენიც შენი არ გიშველიან!..  
კომუნისტიმისკენ იშვერდი ხელებს,  
ახლა ფეხები აგიშვერია!

ბაღში შევიდა პატარა,  
ტიკტიკებს წარაშარაო:  
— აქ დიდი ძია რომ იდგა,  
ნეტავ, სად გაიპარაო?!

**მაჯანები**


დროის მოთხოვნას ვერ ვიგებთ,  
მიტომაც ვაგებთ, ვერ ვიგებთ!

სინდისს ზურგი შევაქციეთ  
და  
ზეცას სისხლიც შევაქციეთ!

საქმე ვქენით მეთისმეტად საუგაო,  
დავანგრიეთ, რაც წინაპარტისტებს უწელი  
გინჯილით...

სისხლის ღვრით თუ კვლავაც თავი  
გამოვიდეთ,  
ვერაფერი ვერ გვიშველის —  
კრიზისიდან გამოვიდეთ!

ბევრი გადაიქცა ანგელოზად,  
ბევრიც — სატანად!  
ცოდვები ბორგავს სამშეოზე  
გამოსატანად!



მე შენს ფერხით ია-ვარდი  
გამიგია,  
რატომ მიღრენ, — ვერაფერი  
გამიგია!..

მთავრობის საქმენი უოველდე  
იხვეწება,  
სურსათი! სურსათი! — ხალხი  
იხვეწება!

კრემლმა რუსს მისცა ცხინვალი,  
ვით არენდა და იჯარა!..  
საჯაროობის ჭერიოთა  
ჯარმა ჭეროვნად იჯარა!..  
ვნახოთ, იბრუნებს სადამდე,  
ეგ ბრუნდი ცხოვრების ჭარა!..

**თუ რამ ძალა გვაქვს..**

თუ რამ ძალა გვაქვს,  
მამულს ვუსაშველოთ! —  
უჭირს საქართველოს,  
უჭირს უსაშველოდ!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი




**სიმონ (სიმონია) ბაგრატი**  
 ა.წ. (1897-1943) ქართული ემბრა-  
 ტული პეიზის თვალსაჩინო წარმომ-  
 აღმწეველია. ეს მას ეუფლებინ სტოიკო-  
 ნები, ლეონ საქართველოში ზეპირადა  
 რომ იყავა:

„მარ ჩამი ვაჟენის  
 გულდამწვარი ზირისუშალი.  
 შირი გარძინავალი  
 მომგაბალით მხარს გაჰინარო!  
 თუ სხანათმლო  
 არ იმნება თავისუფალი,  
 დე, მამიად ვაძულებ  
 დამინათს თეთლი სხანარო!“

სიმონ ბერეჟიანი მრავალმხრივი ნი-  
 კოს პატრონი იყო: მწერლობასთან ერ-  
 თად მისთვის არც მხატვრობა-კარიკა-  
 ტურისტობა და სასცენო ხელოვნება  
 უყოფილა უცხო.

ჩვენ მოგვცა შემოხვევა, გავცნობო-  
 დით სიმონ ბერეჟიანს კარიკატურებს,  
 რომლებიც გამოქვეყნებულია 1930-ან  
 წლებში პარიზში გამოშვებულ გაზეთ  
 „თეთრი გიორგისა“ და ეფუძნება „ქარ-  
 თლი სიხის“ ფურცლებზე ისინი უფ-  
 რი პოლიტიკური სტილის ნიმუშებად  
 მიჩნევიან, მხატვარი, როგორც „თე-  
 თრიკორელო“ მწერად დასცინის ქარ-  
 თველ სოციალ-დემოკრატებს (ნ. ერი-  
 დანი, რ. არხიშვი, პ. გვარჯალაძე.

# ქართული კარიკატურის განვითარება



კარიკატურა ნოე ეორდანიას, „ქართული ტანისამოსი განვი-  
 რება“, გაზეთი „თეთრი გიორგი“, № 88-89, პარიზი, 1935 წ.

კარიკატურა, ოსებ სტალინი, იან რი-  
 გორ მიფის სოციალ-დემოკრატ-  
 „ქართლოსი“, № 2-3, პარიზი, 1937 წ.

კარიკატურები ქართულ სოციალ-დემო-  
 კრატებზე. „ვინ როგორ მიღის სოციალიზი-  
 სადენ“: ეურხალი „ქართლოსი“, № 2-8, პა-  
 რიზი, 1937 წ.



ბ. გრაძე...), რომლებმაც, მისი აზრით,  
 სიბინადლე ვერ მოუტარეს საქართვე-  
 ლის დამოუკიდებლობას და მარქსის-  
 ტულ-სოციალდემოკრატული იდეებით იყვნენ  
 გველწილინი სიმონ ბერეჟიანი არც  
 თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს  
 იწმინდებულ-დემოკრატულ პარ-  
 ტიიდან ამის საოლუსტრაციოდ გამო-  
 დგება მისი კარიკატურები შ. ამირე-  
 ჯიბზე, რ. ვახუშტზე, ალ. ამბეტლ-  
 ზე, აგრეთვე ვენერალ ბ. კეიხიძეზე,  
 პიოტროსოვზე, ავალიშვილზე, ვლ.  
 ამბეტლზე. განსაუხებელი სარ-  
 კამბო გამორჩევა კარიკატურა სტა-  
 ლინზე.

ვერქობით, სიმონ ბაგრატიანი  
 ლირსეულ ადგილს დამკვიდრებს ქარ-  
 თული კარიკატურის ისტორიაში.



ეფუძნება „სინაგოგის“ მკრეველებს  
 ვიკავებოთ სიმონ ბერეჟიანს უმდე-  
 ნიშე კარიკატურას. სტალინიზე, რ.  
 ეორდანიას და სხვა ქართულ სოცია-  
 ლ-დემოკრატებზე

ქართული

სიმონ ბაგრატი

# დედამიწის ზანტურობა

ქრონიკალი  
ნიკოლოძე

ახალი და ძველი რეკონსტრუქციები

## პარადოქსი

საბოლოო კავშირი გაუქმებულად გამომცხადდა.

მეხმის შემოსლა-შეხლის ხმა და...

ქაოსი მეფობს... ვარ მოქალაქე ქვეყნის, რომელიც არ არსებობს! ჰოდა, აღივხეთ ჯიბრით, — ისე მოვივლი ას პორტს, აღარ ვატარებ ჯიბით ამ ჩემს უვადო პასპორტს!

## „კომერშიელ შოფ“

შერე რაა, რომ ბრძენი ვერ გავხდები და ვერც მდიდართა მოვხვდები ხიაში?! — ერთი, სულ ერთი ნახტომით ჩავხვები დასავლურ ცივილიზაციაში..



როგორც საყვარელ, ღირსსახვოვარ ხტროფს, უოველ ნაბიჯზე დაღად ვკითხულობ: „კომერშიელ შოფ“... „კომერშიელ შოფ“... და უცხო ენის ცოდნით ვდიდგულობ!

მაქვს სინარული ასე იაფი — ვკითხულობ (სიტყვებს ორად როდი ვყოფ): აღრიალეხულ ფერთა კიაფით დაწერილ აბრებს:

„კომერშიელ შოფ“... „კომერშიელ შოფ“...

შედი და ნახე: გვაქვს ყველაფერი! ვინ დაგვაბრადა ჩვენ სიღარიბე?! კარაქი თაფლის ცრემლით გაფერე, ოქროს ღიმილი ჩამოარიგე!.. რა ჩასაცმელია რა დასახური ინებე, რაც კი გულით ისურვა!

არც მოიშოო, არც მოიწყურო და სიღამაზის იუავ მსახური! დაცხე, დაჭკარი ზარ-დაფაფები, ეგების მოხვდე მძლავრთა სიებშიც, თამამად შედი ჩასარდაფებულ საკომისიო

კომერციულ მაღაზიებში

შედი, უხმინე შრიალა ფარჩებს, უფონე შენს გულს დაუდგრომელსა, შედი, ოღონდაც სახლში არ დაგჩხეს ფული, რჭამელსაც, სახლიც რომ გაყიდო, მაინც ვერ იშოვი!.. მახრუნებს ცხელი ქართული ზვირთი, — ჩვენი ცხოვრების შუაგულში მყოფს. — და მე ვკითხულობ ლათინურ შრიფტით მოხატულ აბრებს:

„კომერშიელ შოფ“... „კომერშიელ შოფ“...

## ჩვენი დროის კონსერვატივიზმი

თავს რად შევკალავ ხინკალს ქონიანს?! — ქართული ღორიც თავისთვის დაშთებ! — ვზივარ, მივირთმევ ფრანგულ კონიაკს, ისლანდიურ თევზს, ინგლისურ პაშტეტს!..

ჩვენებურ ღვინოს არ მოვუხდები ქუდს, არც ღობსულგუნე არ გამაქარონს!.. ვზივარ, მივირთმევ ამერიკულ ლუდს, ფინურ ძებვსა და თურქულ მაქარონს!..

## ერთი ნაცნობის განცხადება

ვაჭრობაში არასოდეს არ ვიყავი ზანტი, სპეკულანტსა მეძახდნენ და მქვია კომერხანტი! კანონს ექვემდებარება ჩემი ყველა ფანდი, ვითხოვ: არჭივს ჩააბარეთ სიტყვა „სპეკულანტი“!

## ხორცის მყიდველთა გასაბრუნად!

ქალაქ სამარის ლენინის რაიონის ბაზრის ხორცეულის რეგში ფიქსირებულია ძაღლისა და კატის ხორცის ცხვრისა და კუ-

რღლის ხორცად გაყიდვის შემთხვევები! — იტყობინება გაზეთი „მეგაპოლის ექსპრესი“ (26. 11. 1992).

ახლობელმა მეგობარმა მიაბო: თბილისის ერთ-ერთ ბაზარში ცხვრის ხორცად ნაყიდი ბარკალი დავკერი და მოვხარე. რალაც საშინელუბა გამოდგა: არც ცხვრის ხორცის გემო ჰქონდა და არც სუნნი!..

ამ დღის მშომყვანო მადლობა და დიდება! — ხვალის დღისკენ რა გზა-ნიდი გადეს! — ძაღლის ხორცი ცხვრის ხორცად იყიდება კატის ხორცი კურდღლის ხორცად გადის!..

ძაღლს ვუყურებ, თვალწინ ცხვარი მიდგება, —

ასეთი რა ცოდვა მქონდა, ნეტავ?! ვინმე ქაჭი მიდგება და მოდგება, ყახბის დანახს სისხლი ჩამოსწევთავს!.. და ცხვრის ხორცად მომასყიდის ბაზარში მაწანწალა ძაღლის გამხდარ ბარკალს, ჰოდა, მერე გაზის მიმჭრალ ლადარზე გინდ შეწვი და გინდ მოხარზე კარგად!

დამსუბუქდა ზორცეულის დახლები, წრიალეებს და წუხს მყიდველთა დასი!.. მეცოდებით, უპატრონო ძაღლებო, რომ არ იცით თქვენი ხორცის ფასი!

1992 წ.

## მ ა ჯ ა მ ა წ ი ნ ა ტ მ ა მ ა

შამფურზე მწვადი ამისხი, გამიღონივრე მაჭა მით.



ღვინო ხირჩაში დამისხი,  
წვეთები მასვი მა ჩამით,  
მხრებზე შაშვები დამისხი —  
ლექსი უნდა ვთქვა მაჩამით!

**ბალვაშინიანი**

— ღანა გული დაგიძვირე?! —  
ეხუვის გიას  
კელაგია, —  
გავიქცევი, დამიძვირე —  
ვარ შენი კეპელა, გია!

მაგრამ შორს რომ გაუფრინდეს,  
არც ისეთი ვერაგია:  
ირგვლივ უვლის და კიხიებს:  
ვერ დამიძვირე, ვერა, გია!

**ბაკაძე-ბეჟანაშვილი მოგზაურობის ერთ მოქმედებას**

ნუ მოგივა ბრაზი, ლია,  
თუ ვერ ნახე ბრაზილია!

**მისრაშიანი**

— მე არ ვიცი, ვინა ხარ,  
ვისი შვილი, ვისი და,  
მე რომ ვიყო რამინი,  
შენ რომ იყო ვისი და  
შენ რომ მკითხო, — ამქვეყნად  
გავიხარებ ვისითა, —  
გიპასუხებ: — ვისითა?



ვისითა და ვისითა!  
— მერე როგორ შემშოსავ,  
რა მაქსით და რა მენით,  
რა სახანლეს ამიგებ,  
რა ბროლით და რა შინით?  
ვაი, რომ ვისი არ ვარ  
და არც შენ ხარ რამინი!


**პურიის მოხდა**

— მომიხადე, გოგო, კური! —  
ბრძანებს გოგა გოგოკური.  
ეს რა ბრძანა გოგოკურმა,  
ხომ დაათრო გოგო კურმა?!  
მე იმ გოგოს ბოღმს ვუხდი,  
გოგას კურის ხარკველს ვუხდი!

**მამოსაცნა**

მე იმ ომში სიხელი ვღვარე,  
მას სხვა ეპიზოდი აქო,  
მე რკინა-თუქს გადავუვეცი,  
იმან ოქროს ზოდი აქო!  
პოქიზის ცაზე ვისი  
გაბრწყინდება ზღაღიაქო?


1987 წ.



ნახ. ჯ. ლოლუასი

თემა ნ. ბართაიასი

— თუ მართლა თევზის კონსერვი ჭამეთ, მაშინ კუჭი უნდა გამო-  
ირეცხოს!..  
— რას ამბობთ, ექიმო?! იმ კონსერვში 50 მანეთი მაქვს მიცე-  
მული!..



## დაიწყებს ხაჭაპური!..

— მამი, ხაჭაპური მიყიდე! — უთხრა ნიკამ მამას.  
 მანაც არ დააყოვნა და უყიდა. ნიკამ ხაჭაპური გატეხა. ყველი რომ ვერ დაინახა. მამაც ჰკითხა:  
 — მამი, რის ხაჭაპურია ეს?  
 — შვილო, უფიცობას რატომ ამელავენებ?! ხაჭაპური სველისაა!  
 — აბა, უსუნე, ყველი სად არის?!  
 — ყველი ცხიმიანი იყო და ცოტაა შეიწოვა! !  
 ნიკამ ეს რომ გაიგო, ხაჭაპური მამას მიუგდო.  
 — მე რა შუაში ვარ. — უთხრა მამამ. — ვინც მოგყიდა, იმას დაუგდე!  
 — ის რა შუაშია?!  
 — მაშინ, ვინც გააყეთა, იმას დაუგდე!  
 — მამი, ამდენი თუ იცი, თუ ვინ არის შუაში, რატომ ზომებს არ იღებ. პატარებს რომ გვატყუებენ!  
 — ჰე, შვილო, წამოდი აქეთ, პატარებს კი არა. ხომ ხედავ, დიდებსაც გვაპამპულ-ებენ!  
 — მამი, მოდი, დათა ბიძიას ვუთხრათ ეს!  
 — ვინ არის, ბიჭო, დათა?!  
 — მამი, დათა თუთაშვიას არ იცნობ?!  
 — მერე, რა გინდა შენ?! კიდევ გიმეო-




რებ; უფიცობას ნუ ამელავენებ, დათა ბიძიამ ხომ თქვა. — სხვის საქმეში მე არ ვერევი. არც სხვას ჩავრევ ჩემს საქმეშიო?!  
 — იყავი, ბატონო. მაშინ შენთვის! — უთხრა გულმოსულმა ნიკამ. — მე თუ დამცინი, — ყველის სუნი აქვს შენს ხაჭაპურსო, — შენს ნაყიდ სიგარეტს ხომ აქვს თამბაქოს სუნი, სამოც კაპიკიანში ათ მანეთს რომ გახდევინებენ?! დადგება დრო, მამი, დათა ბიძიას კი არა, მილიციის უფროსსაც შეაწუხებ. სხვა რამეებშიც რომ მოგატყუებენ. მაგრამ მერე გვიან იქნება!

— ნიკა, შვილო. შენ ჯერ პატარა ხარ, ამ ცხოვრების არ გესმის! რომ გაიზრდები, ყველაფერს გაიგებ! აბა, როგორ შეიძლება მაგ ხალხის დაბეზლება?! მაგათ ხომ ცოლ-შვილი ჰყავთ, ნათესავები, ნაცნობები, მეგობრები, მფარველებიც ჰყავთ აქა-იქ!  
 — ეხ, მამი. შენ არ ყოფილხარ კარგი კაცი! ჩვენი ნათესავების, მეგობრების, შენი ცოლ-შვილის თუ არ ერიდებათ, შენ რის გერიდება?!  
 — წამოდი აქეთ! შენ რომ გისმინოს კაცმა, ყველას დამაჭერიანებ ამ ქალაქში.  
 — რატომ ამ ქალაქში. მამი, და სხვა ქალაქებში არა?  
 — წამო, ბიჭო, აქეთ! — ხელი მოჰკიდა მამამ შვილს და შინ წაიყვანა.  
 ...მას შემდეგ ნიკა და მამამისი ქალაქში არავის უნახავს!..  
 მეზობლებმა ჰკითხეს, — ნიკა, რატომ არ დადიხართ ქალაქში შენ და მამაშენიო?  
 ნიკამ გულდაწყვეტით უპასუხა: მამამ თქვა, — სანამ წესრიგი არ დამყარდება, მანამ ქალაქში არ წავალო, — და მეც მას ველოდები!

## ჩაიძლება კარიერა!..

— ბიძია სევასტი, თქვენი უფროსი კარგი კაცი უნდა იყოს, სულ თქვენს ქებაშია!  
 — უნდა მაქოს, აბა, რის ბიძაშვილები ვართ? ვიქტორს რომ აქვებს, ის მისი დეიდაშვილია!  
 — არა, სევასტი ბიძია, თქვენ ცდებით, ყველას მიმართ კარგი უნდა იყოს, ჩემი აზრით!  
 — ბიჭო, შენ რას მასწავლი ჩემი ბიძაშვილის ამბავს?! თავის ხალხს აქვებს! აბა, რა, ასეა ეს ცხოვრება!  
 — როგორ, ბიკენტის რომ აქვებს, ის ხომ მისი ნათესავი არ არის?  
 — ის ენისა და სხვა ამბის მიმტანი. ყველაფერს ხომ ვერ გეტყვი, ბიძია!.. ბიკენტის ისეთი წყრილა ხმა აქვს, ყალბ ინფორმაციას რომ აძლევს, გადარია კაცი! მას მართალი ჰგონია და აფასებს!  
 — სერაპიონს როგორ დაახასიათებდი. მის



უფროსს. ისიც ნათესავია, ხომ კაცური კაცის სახელით არის ცნობილი?  
 — თავი არ უსკდება, მაგრამ იძახიან. — ზევით ჰყავს ხალხი! მოხუცი რომ არის, ჭერჭერობით ქე აგნებს გზას სამსახურში და მუშაობით სხვა მუშაობს! მის პასუხს არავინ სთხოვს, არის და არის, და, მგონი, კიდევ იქნება, სანამ მისი ხალხი არ წავა! თანაც, — კვაკი კაციაო, — იძახიან, ოღონდ თავისთვის ყველა თავისიანი ასე ახასიათებს მას.  
 — კი მაგრამ, ამეამად ამისთვისაა ბრძოლა, — ჩვენს გვერდთ არ უნდა იყოს არც ერთი უქნარა, მლიქვნელი, უმოქმედლო! ამაზე რას გვეტყვი. ბიძია სევასტი?  
 — ყველას ერთ დღეს ხომ არ გაუშვებენ, შე კაი კაცი?! ჩვენამდისაც მოაღწევს, ალბათ, ბიძია!  
 — კი, მაგრამ, თქვენამდის რომ მოაღწევს, არ გწყინს, ნათესავს რომ მოგაშორებენ?  
 — მერე რა! იმდენი ძმაკაცი ჰყავს, ორ და სამ კაცს ნუთუ არ შეგვინახავენ?! თუ არადა, ყველაფერი გვაქვს — „ვოლგები“, აგარაკები, ხუთოთახიანი ბინები, რემონტიც მოეჭწარით, სახარჯო ფულიც არ გვაკლია და ვიქნებით, ბიძია, თუ დაგვაყენეს და შეგვარჩინეს! თუ არადა, სადაც სხვები, იქაც ჩვენ, შორეულის გარდა!  
 — მე, როგორც ვატყობ, რუსთავის კოლონია უფრო მოგწონს, ვიდრე შორეული!  
 — ენახოთ, ბიძია, რომელ საგზურებს მოგვეცემენ!..

ილუსტრაციები ბ. ლომიძისა


გუსიკ

ზუ-

ბე-

შვი-

ლი



ფრთხილად  
მოხედეთ  
პანთს!



# ვერცხი



ერთ სიტყვას გთხოვ. მომისმინე, თუ და ხარ და თუ ქალი ხარ. —  
 ჩიქურ გეტყვი. — მითინგებზე რას დაეძებ, რას დადიხარ?!  
 შინ მუდღე გელოდება — უსადილო, უვახშამო...  
 ეს ხანმოკლე ყოფა მზის ქვეშ სანამ უნდა ჩაუშხამო?!  
 იქნებ აკვნის პირში გეღის, შენს რძესა და ძუძუს ნატრობს.  
 შენ კი ამ დროს, ღმერთმა იცის, სადა ხარ და სად ნავარდობი?  
 ენას იქნევ მათრახივით. გაგიშლია თმები ჯიდად.  
 ვინმემ სიტყვა თუ შეგკადრა, დაატყდები თავზე მკილადა!..  
 გონს მოეგე, დაუფიქრდი შენს სახეს და შენს საქციელს.  
 ეს წვა-დაგვით ნაშენები ქვეყანა ნუ დაგვიტყვი!  
 კაცის საქმეს ნუ იჩემებ, ნუ გადიხარ ზღვარს და მიჯნას,  
 თორემ ბოლოს დაინახავ, რაც მოხდეს და რაიც იქნას!  
 დედა ხარ და ყველა შეილი შემოგყურებს, როგორც დედას.  
 შენ კი ნაცვლად რას აკეთებ, ანდა ამას როგორ ბედავი? —  
 აგიღია თოფი ხელში, მოვლენიხარ შეილებს ლახვრად,  
 იმუქრები: „ვინც არ მისმენს, კბილით დავგლეჯ, კბილით დავხრავ!“  
 გამოფხიზლდი, სამიზნეზე ეშმა გიზის, გაყრის სიცილს!..  
 ვის აქეზებ, ვის მოძღვრავ და ვის უმიზნებ, ვისკენ ისვრი?!  
 რად არ იცი, ნაწილია ისიც შენი რძის და სისხლის.  
 გაიხსენე, შეილმოკლული დედის გული როგორ იწვის,  
 მისი ცრემლის ყველა ცვარი გოდებაა ცის და მიწის!..  
 ისეც ბევრი გამოფხარით. — განსჯა გამართებს, განა არა, —  
 შენი ძუძუს სისხლიც იყო, ქუჩაში რომ დაიღვარა!..  
 ნუ მოიკვეთ მაგ ტკბილ ნექტარს, ნუ გადუქცევ შეილებს შხამად,  
 ნუ გაიხლი საკუთარ თავს დასაწყევლად, დასამარად!..  
 ზეცილ ღმერთი ჩამოგყურებს, ანგელოზი შენთვის იღვწის.


ნუ დაწიხლავ მაგ დიდ მადლს და ნუ შეეცკრი მაცილს ფიცით!  
 ქალს სიმდაბლე ალაპაზებს! — ეს იცოდე, თუ არ იცი! —  
 უამისოდ დედაკაცი მგავს კარლია, მოშლილ წისქვილს  
 გაიხსენე, რა გვირჩია ლელთ ღუნიაშ მკვინის პირით,  
 მაშინ, როცა კარზე გვედგა ასეთივე გასაპირო:  
 ერის საქმეს, იმის ავ-კარგს ბრძენთა საბჭო უნდა ბრჭობდეს,  
 ვაფი გარეთ ვაფიკობდეს, ქალი სახლში ქალოობდეს!  
 ორიოდ საყვედური უნდა ეთქვას ქმრებსაც — კაცებს:  
 რას ფიქრობენ, როცა ცოლი სახლში არ ზის, სახლში არ წევს,  
 მის მაგიერ კერაზე რომ თვითონ ზის და აკვნის არწევს?!  
 დაღუპვაა, როცა ცოლი ქმარს მობოჭავს, მოაფოღებს! —  
 ასეთ კაცებს ჩვენებურად ეძახიან ცოლის ცოლებს!  
 კიდევ მინდა, ერთიც ვუთხრა, რაც ახლა ვთქვი, ამას გარდა,  
 კი მიჭირს თქმა, მაგრამ რა ვქნა, ვერ დავშალავ, რაც არ ვარგა:  
 ეს ქვეყანა ცოლის ცოლი კაცებისგან გადაგვარდა!..  
 ნუ აუშვებთ, ნუ რთავთ ნებას თქვენს ცოლს, დედას, რძალს,  
 ქალიშვილს!..  
 დაიოკეთ, დაიურვეთ, თორემ მისით არ დაიშლის!  
 ნათქვამია: დედაკაცმა თუ აიშვა და დაწეზდა,  
 ცხრა უღელი ხარ-კამეჩი არ მიუჩანს ჩალა-ბზედა!  
 ერთი სიბრძნეც მაგონდება ძველთაძველი, არახალი:  
 ეს ქვეყანა ქალმა შექმნა, დააქცივხო ისევ ქალი!  
 ჰოდა, აწვე, ამთავითვე, სანამ იგი უამი მოვა,  
 თორემ მალე მოგვიხდება თავისთავის გამოგლოვა!

სულხან ქაქელიაური

თემა 5. ბარტაიასი


ნახ. ჯ. ლოლუსანი

— ნუ გეშინიათ, შეილებო! პურს მაინც არ მოგაკლებთ, რაც უნდა გაძვირდეს!



# ჭარის გაზეთი №3

ქართული  
გონიერების




— რა ვქნათ, უქალღობის გამო, ასე ვცემთ გაზეთებს!..  
 — თუ ასეა, მაშინ მე საძინებელი ოთახის გაზეთს გამოვცემ!

— ჩვენთან რომ რეაას კაცს ამცირებენ. მე ჩამთვლიან კაცებში?  
 — თუ შემცირება დაიწყეს, კი!

— ბატონო მიხეილ, ამბობენ, თქვენს დაწესებულებას აუქმებენო!  
 — ჰოდა, პროტესტის ნიშნად, მეც გადავდგები თანამდებობიდან!

— მოქალაქევე, რატომ ჩამოდინარტ უქანა კარებიდან?!

— იმიტომ, რომ წინა კარებიდან ჩასასვლელად ფულის გადახდაა საჭირო!



— ჩვენთან სწავლა მართლა ფასიანი გახდა?  
 — სწავლისა რა მოგახსენოთ. მაგრამ უსწავლელობაში რომ ფულს იხდიან. ეს ნამდვილია!

— რა არის გლეხისთვის საჭირო: კერძო საკუთრება მიწაზე თუ მოსავალი?  
 — კერძო საკუთრება მიწაზე, რადგან მოსავალს მაინც არვინ დაგვიტოვებს!..

მოისმინა ბრიგოლ რურუამ



- პარბუ დიდხანს აპირებდა აზრების შეკრებას, მაგრამ შეკრება არ შედგა.
- სხვადასხვა სტილით ცურავენ, ერთი სტილით კი ისრაზიან.
- საერთო რვეულშიც შეიძლება საკუთარი აზრების ჩაწერა.
- მოქანდაკეებში უკვდავყო თავისი შეცდომა.
- ყველა რომ ციდან ვარსკვლავებს წყვეტდეს, აღარ იქნებოდა ვარსკვლავიანი ღამეები.
- პიესის ავტორს დაუინებოთ იზომოდნენ სცენაზე: მასურებულს აინტერესებდა ენაბა კაცი, რომელმაც ასეთი ცული პიესა დაწერა.
- იმ უფსკრულზე, რომელიც მას ახალგაზრდობას აშორებდა, კბილის ექიმმა ოქროს ხიდი გაუდო.
- მოსმინის ოპერა, მაგრამ დაადგინეს რა?
- კიბოს მომავალი უკან აქვს.
- ლიტერატურაში გაიპარა, როგორც შეცდომა.
- რადიომიმღები გვაახლოებს შორეულ ქვეყნებთან და გვაჩუბებს ახლო მეზობლებთან.
- ღრამბატურებმა იმდენი სტანდარტული პიესა დაწერა, რომ უფლება მოიპოვა მიეღო სტანდარტული ბინა.
- ორიბინალობით ამაყოფადა, უხაროდა, როცა მისი სურათების შესახებ ამობდნენ, — არაფერს ჰგავსო.
- ზღვაზე გემის რყევა მხატვრის მიერ ისე ჭეშმარიტად იყო გამოხატული, რომ სურათის ერთი შეხედვაც კი გულსჩრევას იწვევდა.
- მზაპრის სიცოცხლე ბეწვზე ჰკილია, თუ მძღოლს უკვდავების სჯერა.
- ამთილი ეპიგრამა იგივეა, რაც აღერსიანი ეზოს ძაღლი.
- ძბილემი უკვე აღარ ეზრდებოდა, თუმცა სულ წყლიან კიკაში ინახავდა.
- მთელი კაცობრიობა უყვარდა, თავისი მეზობლების გარდა.
- საყოფაცხოვრებო დრამებს არა აქვთ რეპეტიციები.
- ყველა თუთიყუში მოლაპარაკე როლია, არიან მწერალი თუთიყუშებიც.
- სპაპტაქლმა დიდი ხმაური გამოიწვია: ყველა მოქმედებაში ისროდნენ.
- ეს კაცი ისეთი იყო, რომ ყველაფერზე წავიდოდა — უნიკო პიესის პრემიერაზეც კი.
- პატრიმპროვარმა გახლდათ: თავის მისამართს რომ მოგცემდათ, გეტყვოდათ, — პუშკინის ძეგლი ღვას სწორედ იმ სახლის წინ, რომელშიც მე ვცხოვრობო.
- მომღერალს დაგვიანებით უკრავდნენ ტაში: იგი კარგად მღეროდა ოცი წლის წინათ.
- ხელაქვეითებს „ბავშვებს“ უწოდებდა, თავის ბავშვებს კი — „კადრებს“.
- საფარფლე ისე მშვენიერი იყო, რომ მის პატისხაცემად იატაკზე ფერფლავდნენ.
- კლანტარნიუმის ლექტორს თავი ისე ეკირა, თითქოს მზის სისტემის მმართველი იყო.
- მებობრობა და ჩაიკარგია მხურვალე, მაგრამ არა ძალიან დამტკბარი.
- ყველა კლასიკოსი თანამედროვეა, მაგრამ ყველა თანამედროვე არ იქნება კლასიკოსი.
- სარჯახო აღბოშში მშვიდობიანად მოკალათებულიყვენ ნათესავები, მთელი სიცოცხლე რომ ჩხუბობდნენ.
- ბაზიარბული მწუხარება ნახევრდება, გაზიარებული სიხარული ორმაგდება.

- წიბნი ისეთი დათაფლული ენით იყო დაწერილი, რომ ზედათასობით ბუზი იქდა.
- რბც გადაეტანა, ყველაფერი სახეზე ეწერა, ზოგ ადგილას ხაზგასმები ჰქონდა ნაოჭებით.
- ცოლ-ძმარს შორის ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მიმდინარეობდა.
- თაბზები ხელნაწერებს ღრღინდნენ და კატა აღარ ეტანებოდა მათ — არ უყვარდა ლიტერატურა.
- კლანტარნიუმში ფულს იხდიან იმისათვის, რომ დაინახონ ცა, რომელიც ქულად არ მიაჩნიათ.
- მსახიობი დელავდა რადიოგადაცემაში ზღვის მოქცევის როლის შესრულებისას.
- წიბნების კარადის დახურვა დაავიწყდათ და ბუზებმა კვალი დატოვეს ლიტერატურაში.
- მკინს სხვისი რენტგენული სურათი შეაპარა და უხაროდა.
- მოთხრობა ისე პატარა იყო, რომ ძლივს ფარავდა მწერლის უნიკობას.
- ბელურის აზრით, ავტომანქანა ნაკლებ სრულყოფილია, ვიდრე ცხენი: იგი არ იძლევა ნაკლებს.
- ზაზულში მეზობლები მასთან მეგობრობდნენ, რადგან მისი მაცივრით სარგებლობდნენ. ზამთარში მათი მეგობრობა შესამჩნევად გაცივდა.
- მწუხარებიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს — ბედნიერებისაკენ.
- ღმნაზაბა კომპოზიტორი, მაგრამ კლავიშებს ურტყამენ.
- ცხოვრებაშიც ისეა, როგორც მატარებელში: მაგარი ადგილები უფრო ბევრია, ვიდრე რბილი.
- შაპრის ავადმყოფობაც არ არის ტკბილი.
- ვულკანისბან როდი თხოულობენ, ფერფლი საფერფლეში ჩაყაროს.
- როცა ტრამვაიაში უბიძგებდნენ ხოლმე, ეჩვენებოდა, რომ ამ ბიძგს აღნიშნავდნენ მთელი მსოფლიოს სეისმოგრაფები.
- თაბზს ეგონა, რომ ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდნენ.
- პარბ მწერალს ეშინია, რომ ვერ გაუგონ, ცუდს კი ეშინია, რომ გაუგონ.
- დამბითი და უარყოფითი გმირების კონტაქტმა გამოიწვია მოკლე ჩართვა და სექტაკლზე სრული წყვილიადი გამეფდა.
- ვაზლში ექვის კია შეიპარა.
- მლიქვენილის ავეჯი: სკამი მოხრილი სასურგით.
- ძალმა მას შეიძო ტყავი გააძრო... მელიის.
- სოპრატმს ჰგავდა მელოტი თავით და ცოლით.
- ვარბისი სოკო იმღებდა, შხამიანი მუდამ სახეზეა.
- შაბონება — „სხვას ნუ უთხრი სამარეს!“ — სულ არ ენება შესაფლავებს.
- ორპსტრი ისე უხეირო იყო, რომ ღირიერი წარამარა ხელს იქნევდა მასზე.
- ძალი დიხეტაციას ჰგავს — მას დაცვა ესაუბრობდა.
- სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთის გვერდით დადიან, მაგრამ არაფერი იციან ერთმანეთის შესახებ.
- მის ძალზე შესაფერისი სახე ჰქონდა... რადიოში გამოსვლისათვის.
- ძმარი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ნებას არ აძლევდა ცოლს, სხვა მამაკაცებს დასრულებოდა.
- მამალი გრძნობდა, რომ შეწვავდნენ და გედის სიმღერას მღეროდა.




— შენ ხომ არ გადაირიე, ძაღლო?! ერთი ნატეხი შაქარი რომ მქონდეს, მე მომასწრებდი ამაში გაძრომას?!



— არ მითხრა ახლა, ოთხ საბურავს გჩუქნი შენი დაბადების დღეზეო?!

— გაგიუდი? ჩემს მანქანას დავხსენი, სანამ შენთან ვიქნები, მეშინია, არ მომპარონ!..



— მ დოლარად რომ აფასებთ, მაგ მამალს, ამერიკულად უცივს?!

# კ. ყუცია

— რაო, რაო? მე მაქვს გაბერილი შტატები?!





# აქამსავე

ეროვნული  
ინტელიტის

## „პართული გულმონყალებით“!

გაძნელდა ჩვენი ცხოვრება,  
დრო დაგვდგომია წამების!  
ნერვებს ვუწეწავთ ერთმანეთს  
„პართული გულმონყალებით“!

რაც კარგი გვქონდა, ყველაფერს  
ხრამისკენ მიველაღებთ!  
ვანგრევთ ჩვენსავე აგებულს  
„პართული გულმონყალებით“!

ვაუები გავქალაჩუნდით,  
კაცებად იქცნენ ქალები  
და შარვალ-პიჯაკს გვახევენ  
„პართული გულმონყალებით“!

გადავიწურეთ იმედი  
წმინდა გიორგის წყალობის  
და გულს ვუხეტოვებ მოყვარებს  
„პართული გულმონყალებით“!



ინფლაციას და სიძვირებს  
ვეღარხად ვერ ვემაღლებით!  
კუბოებს ვპარავთ ერთმანეთს  
„პართული გულმონყალებით“!

ვერ გავისტუმრეთ ვერაფრით  
მამა-პაპათა ვალები  
და კუთურთს ვხოცავთ ქართველნი  
„პართული გულმონყალებით“!

## ხმალი

„და უარვყო ქარქაშმან ხრმალი...“  
ქამთაალმწიფრელი

ამ სტრიქონებში გულის ხისხლს  
და სულის კენხს ვაქსოვ! —  
წუთისოფელთან ვდავობ და  
ვომობ, რაც თავი მახსოვს!

თუმც ბევრი ბრძოლა მომიგო,  
ბევრიც დავადე ვალი,  
არ მიქნევია ამაოდ  
და ვით ფერული ხმალი!

ვიომე მართლა ვეფხვივით, —  
და გეტყვით, სხვათა შორის, —  
სულ ერთიანად ავკაფე  
შიში, ეჭვი და ჭოროი!

ეს გამარჯვება თუმცადა  
გულს სიხარულით მივსებს,  
თითქმის გამიცვდა ხმალი და  
თან დაიბრიცა ისე, —

ბევრს ვევედრები მამაღმერთს,  
ვევედრები და ვნუკავ, —  
ეს ჩემი ხმალი ქარქაშმა  
ალარ მიიღო უკან!

მეტი რა გზა მაქვს, ვდგავარ და  
თან იმედი მაქვს ხვალის!  
...ხელში მიჭირავს ქარქაშის  
უარყოფელი ხმალი!

## ელეგია

გაჩნდა პრობლემა  
უზარმაზარი —  
ჩვენს ხელფასს წერტილს  
უსვამს ბაზარი!

სტუმრად მიმოსვლას  
გადავეჩვიეთ,  
სუფრას ვუსხედვართ  
მარტო, ლენჩივით!

ეს ამ გამხმარ ჰურს  
ქადა მჭირია,  
მაგრამ კუჭი რომ  
გადაეჩვია?!

## ცოლის სახვედური

კიდევ მკითხავ, —  
რატომ გახდი უხამსიო?  
სანამ ვიყო  
უხეკოდ და უხამსიოდ?!



## ვერ უხევალი!

ჩვენს მალაზიას  
ჩაფუშული კიბე მიადგეს,  
საეკუღაციას  
კომერციამ, ძმაო, ჰქვია დღეს!


## კალამბური

მხოლოდ მას სწყალობს მესია,  
ვინც მესიისთვის იცლის!  
ბედნიერებაც მისია,  
ვინც მისი ფასი იცის!

## გთხოვ!

ვწვალთ, რაც კი თავი მახსოვს,  
და სრულდება განაჩენი —  
დემონს ჩემი მიჰყავს ხული!  
შქმიძულე, ძალიან გთხოვ, —  
დავიღაღე მე მაგ შენი  
უცნაური სიყვარულით!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



— თქვენ სინდისი არა გაქვთ?!  
 — გვქონდა, ბატონო, მაგრამ გავვითავდა!..

## გაჯაბები

რა ოდა-სახლი, რა ეზო, რა ქა! —  
 მომნატრებია მშობელი რაქა!..

\* \* \*

რა კარგი დღეა, რა ტყეა, რა ველი!  
 ტრანზისტორიდან იღვრება რაველი!..

\* \* \*

ნაფუძარზე დაბრუნდება მიხა კი?  
 ველამ ყიდოს მამამისხლად მიხაკი?!.

\* \* \*

როს ხარი ხ ა რ ო ბ ს, პატრონი ხ ა რ ო ბ ს!..

\* \* \*

საფლავისთვის შევარჩიე მე ლოდია.  
 პანაშვიდზე დასაკრავად — მელოდია!  
 ... მიწავ, მიწავ, დიდხანს ხომ არ მელოდია?!.

თამაზ ევანოიძე

# წიგნების შეგნაწარმენი

სულ მთლად გაფხეკილ ჩვენს ქველ საყსახოს  
 ხშირ-ხშირად კხედავთ მაგრად დაკეტილს,  
 ხოლო ყასახი ამ უხორცობას  
 აბრალებს უცხო სიტყვას — მარკეტინგს!

ჯეშალ მხსრიშვილი

# ყვნიყარი იყმარი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— ექიმო, როცა ხელზე თაბაშირს შემხსნიო, შემე-  
 ძლება თუ არა პიანინოზე დაკვრა?  
 — რა თქმა უნდა, ქალბატონო ჯოკონდა!  
 — რა კარგია! ადრე არასოდეს დამიკრავს!..

— ჩემო ბიჭუნა, როდესაც გაიზრდები, მე მინდა,  
 რომ შენ ჯენტლმენი იყო!  
 — მამა, მე არ მინდა, ჯენტლმენი ვიყო, მე მინდა,  
 შენ გგავდე!

— რა ჰქვია შენს ახალდაბადებულ ძმას?  
 — მე რა ვიცი, სანამ ენას არ ამოიღვამს და არ მე-  
 ტყვის თავის სახელს?!.

— ტომი, მითხარით, გეთყვია, გენერალმა ვოლფმა  
 რომელ ბრძოლაში დაიყვირა: „ჩვენ გავიმარჯვეთ, ბედ-  
 ნიერი ვარ, რომ ვკვდებიო“?  
 — ეს იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა, სერ!

— რა დროს დგები ზაფხულში?  
 — როგორც კი მზის სხივი მოხვდება ჩემს ფანჯარას!  
 — ალბათ, ძალიან ადრე, არა?  
 — არა, ჩემი ფანჯარა დასავლეთს უყურებს!

— ბოზი, შენ არ უნდა იარო პეტერთან სახლში, ის  
 ცუდი ბიჭია!  
 — კეთილი, დედა, მაშინ პეტერს მე მოვიწვევ შინ!

— მამა, მასწავლებელმა არ იცის, რა არის ცხენი!  
 — რატომ ფიქრობ ასე, ტომ?  
 — მე ცხენი დავხატე და მკითხა, ეს რა არისო?!

— სოლ, მამაცად გეკირა თავი კბილის ექიმთან?  
 — რა თქმა უნდა, ბებო!  
 — ყოჩაღ! აიღე კანფეტი, ახლა ის მითხარი, რა გა-  
 აკეთა ექიმმა?  
 — ისეთი არაფერი, ორი კბილი ამოუღო... ნიკოს!

— შეგიძლია, აპატიო ბიქს, რომელიც დაგარტ-  
 ყამს? — ჰკითხა მამამ ჯონის.  
 — რა თქმა უნდა, თუ ის ჩემზე ძლიერია!

ნიკო ხ ე დ ა ვ ს, რომ ორი ბიჭი მირბის.  
 — რატომ მირბიან? — ჰკითხა მან პეტერს.  
 — ბიჭი, რომელიც პირველი მიირბენს, მიიღებს  
 პრიზს! — თქვა პეტერმა.  
 — გასაგებია, მაგრამ მეორე ბიჭი რატომღა მირბის?

ინგლისურიდან თარგმნა  
 როლანდ კლდიაშვილმა

— მშვენიერი გოგოა ეს მაკა!  
 შეირთე, შვილო, ცოლად!  
 — კი მაგრამ, მამაჩემო, მაგისი  
 სახის გადაფხეკვა არ გინდა?!

თემა მ. შერკვილიძის



ქართული „ნიანა“ № 10. (1860). ბასი.  
 გამოდის 1923 წლიდან  
 სიდან. **გიორგი**  
 მთავარი რედაქტორი  
 ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადუნიშვილი (პა-  
 სუხისმგებელი მდივანი),  
 კაბუა ამირჯიბი, ნოდარ  
 ბართია, რევაზ თვარაძე,  
 ჭემალ ლოლუა (მხატვარ-  
 რედაქტორი), ნოდარ მალა-  
 ზონია, ალექსანდრე ხაშ-  
 ხონია, ბეჟან სიხარულიძე  
 (მთავარი რედაქტორის მო-  
 ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
 ანი, თამაზ წიფწიფაძე.

ტექნიკური რედაქტორი  
 ირაკლი ღუნღუა

გადაეცა ასაწყობად  
 20. 04. 92 წ. ხელმოწერი-  
 ლია დასაბეჭდად 01. 06.  
 92 წ. ქალღმერთის ზომა  
 30x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნა-  
 ბეჭდი ფურცელი 3, სააღ-  
 რიცხვო-საგამო მ ც ე მ ლ  
 თაბახი 3,6, საქართველოს  
 ურნალ-გაზეთების გამო-  
 მცემლობა „სამშობლო“,  
 შეკვ. №636. ტირ. 63 000.  
 ურნალი გამოდის თვეში  
 ორჯერ. რედაქციაში შე-  
 მოსული მასალები ავტო-  
 რებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი შიხამართი: 380008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 კროსბექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რე-  
 დაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაკების — 99-02-38, მდი-  
 ვან-მეგმანჯანის — 99-76-69.

Сатирико - юмористи-  
 ческий журнал «НИ-  
 АНГИ» (на грузинском  
 языке). Тбилиси, пр.  
 Руставели № 42. Ти-  
 пография журнально-  
 газетного издательства  
 Грузии «Самшобло»,  
 ул. М. Костава № 14.

შანი 5 მან.

ანდექსი 76137